განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის კვლევები;

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეფასებისთარიღ(ებ)ი
22 თებერვალი, 2018
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლებისსაფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კულტურის კვლევების დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩიქოვანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა სამსონაძე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მოიცავს ორ პროგრამულ კონცენტრაციას: ქართული კულტურის იდენტობები და თანამედროვე ინფორმაციული კულტურა. იგი ორიგინალური საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც ეფუძნება როგორც თსსა-ში არსებულ სწავლებისა და კვლევის ტრადიციას, ასევე კულტურის კვლევათა სფეროში ახალი ტენდენციების, მოთხოვნებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებას. პროგრამა სტუდენტებს აცნობს გლობალიზაციის ეპოქაში კულტურაში მიმდინარე პროცესებს, თანამედროვე ინფორმაციულ კულტურას, ამ კონტექსტში ქართული კულტურის თავისებურებებს, მის იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს; სთავაზობს დარგისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე. პროგრამის განმახორციელებელი პროფესურა, თსსა ადმინისტრაციასთან ერთად, არსებული ფინანსური შესაძლებლობებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებით, იღვწის სტუდენტთა ჩაბმაზე კვლევით საქმიანობაში, აძლევს მათ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას,ზრუნავს კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებაზე, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ თავად სამხატვრო აკადემიისა და სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2018 წლის 22 თებერვალს. აკრედიტაციის ჯგუფში შედიოდნენ: თავმჯდომარე - ნინო ჩიქოვანი, პროფესორი, კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), წევრები - ანა სამსონაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი;ჯგუფი მუშაობდა 09.00 საათიდან 18.00 საათამდე.

ვიზიტის დაიწყო თსსა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა როგორც ამჟამინდელ მდგომარეობაზე (შემომატებული ფონდების მოწესრიგება-აღწერა, წიგნადი ფონდის შევსება, სტუდენტთა სამუშაო სივრცის მოწყობა, შენობის მიმდინარე რემონტი და რეაბილიტაცია, რომლის მიუხედავად, ბიბლიოთეკა განაგრძობს სტუდენტთა და თანამშრომელთა მომსახურებას, თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის ბიბლიოთეკებთან, ელექტრონული ბაზების მისაწვდომობა, გამოფენებისა და სხვა არასაბიბლიოთეკო აქტივობების ორგანიზება), ასევე სამომავლო პერსპექტივებზე - მას შემდეგ, რაც 2018 წლის ბოლოს დასრულდება სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შემდეგ შედგა შეხვედრა თსსა კანცლერთან,და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთანრომელთაც გაგვაცნეს თსსა ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, ხარისხის სამსახურის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და ფუნქციონირების, აგრეთვე მათი შემდგომი განვითარების პრინციპები. უპასუხეს აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა შეკითხვებს.

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას, განხილვის საგანი იყო სადოქტორო პროგრამა, მისი შემუშავების პრინციპები, განხორციელების გზები, სასწავლო გეგმა, სადისერტაციო ნაშრომების თემატიკა, დაცული ნაშრომები, სტუდენტებთან მუშაობის ფორმები, დაგროვილი გამოცდილება, არსებული

პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. პასუხი გაეცა დასმულ შეკითხვებს, განხილული იყო სხვადასხვა მოსაზრება, შეთავაზებული რჩევები და რეკომენდაციები.

დოქტორანტურის სტუდენტებთან შეხვედრისას, მათ ისაუბრეს თავიანთი არჩევანის მოტივებზე, სასწავლო პროცესზე, ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციასთან ურთიერთობაზე, კვლევითი პროექტების შინაარსზე. სტუდენტები აღნიშნავდნენ აკადემიური პერსონალისა და ხელმძღვანელების მუდმივ მზადყოფნას მათი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, თავიანთი სამომავლო საქმიანობის ხედვაზე.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ ეხებოდა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდს, იმას, თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინი პროგრამის შინაარსთან, სასწავლო და კვლევითი პროცესის მიმდინარეობასთან და შედეგებთან დაკავშირებით, როგორ წარიმართა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი, რამდენად მოთხოვნადი აღმოჩნდნენ ისინი შრომით ბაზარზე.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრაზე განხილული იყო თვითშეფასების ანგარიში, დაისვა კითხვები კითხვარის ცალკეულ პუნქტებთან დაკავშირებით, განმარტებულ იქნა ზოგიერთი საკამათო დებულება. გამოითქვა შენიშვნები და მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ დაცული სადისერტაციო ნაშრომების ამონარიდებს და ესაუბრნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელს.

დამსაქმებლებთან შეხვედრაში მონაწილეებმა აღნიშნეს თსსა კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმი და წარმატებული საქმიანობა.

ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, გააანალიზა ინტერვიუების შედეგები, მოამზადა ძირითადი მიგნებების მოკლე აღწერა და გააცნო იგი პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, დეკანსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. ექსპერტთა ჯგუფი დაუყოვნებლივ იღებდა ყველა დოკუმენტსა და მასალებს, რომელთა გაცნობის საჭიროებაც დგებოდა. ზუსტად იყო დაცული სამუშაო გრაფიკი. საკითხების განხილვის დროს აზრთა ურთიერთგაზიარება საქმიანი, საინტერესო და ნაყოფიერი იყო.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა შეესაბამება სტანდარტის ყველა მოთხოვნას, კერძოდ:

- **სასწავლო პროგრამა შეესაბამება მიზანსა და სწავლის შედეგებს**: მიზნები შეესაბამება თსსა მისიას, ჩამოყალიბებულია მკაფიოდ, მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე; პროგრამის ორივე კონცენტრაციის სასწავლო კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. დაფიქსირდა ერთი ტექნიკური უზუსტობა სასწავლო გეგმაში და ხარვეზი კვლევის მეთოდების სილაბუსში, რაც აღინიშნა რეკომენდაციაში; პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს მიზნებისა და შედეგების მიღწევას და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებს. გაუმჯობესებას საჭიროებს კვლევის მეთოდების სწავლება, რაც აღინიშნა რეკომენდაციაში; პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან სპეციალობის შესაბამისად, რაც ცხადყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე; შემუშავებულია და ხორციელდება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას პროგრამის განვითარების პროცესში, ამის შედეგი აისახა ცვლილებებში, რომლებიც პროგრამაში შევიდა წინა აკრედიტაციის შემდეგ.

- **სწავლების მეთოდოლოგია გამართულია, სწავლება კარგად არის ორგანიზებული, პროგრამის ათვისების შეფასება ადეკვატურია**: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროდან მოსული, სათანადო ცოდნისა და ღირებულებების მქონე დოქტორანტების ჩართვას პროგრამაში, აგრეთვე სწავლის შედეგების მიღწევას; გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამა სტრუქტურულად გამართულია, კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, რაც აღინიშნა რჩევის სახით; სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას; ცოდნის შეფასების კრიტერიუმები მკაფიოს არის განსაზღვრული და გამჭვირვალეა. საჭიროა კვლევითი კომპონენტის შეფასების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის # 3 ბრძანებასთან, რაც აღინიშნა რეკომენდაციაში.
- **სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა განაპირობებს მათ მიღწევებს სასწავლო და კვლევით სფეროში:** სტუდენტებს სისტემატური ურთიერთობა აქვთ ხელმძღვანელთან, რაც განსაზღვრულია მათი ინდივიდუალური სამუშაო გეგმით; სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში; სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს და დახმარებას როგორც პირადი შეხვედრების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის გზით; მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, ვორკშოპების, პროექტების, სასწავლო და კვლევითი გრანტების შესახებ; ამით ხელი ეწყობა სტუდენტთა ჩართვას კვლევით პროექტებში, მათი მუშაობის შედეგების ინტერნაციონალიზაციას, აგრეთვე სტუდენტთამონაწილეობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ ღონისძიებებში; სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებზე; აკადემია ეხმარება სტუდენტებს საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებასა და პროექტების შედგენაში; სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში ხერხდება ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების ფინანსური მხარდაჭერით.
- **სწავლება უზრუნველყოფილია სათანადო რესურსებით:** თსსა ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას; ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს მის განახლებასა და გაუმჯობესებაზე; ადმინისტრაციის ძალისხმევით, ამჟამად მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესს ხელი არ შეუშლია სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის; პროგრამის აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი და სწავლების გამოცდილება; ისინი ეწევიან აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებზე წარადგენენ და აქვეყნებენ კვლევის შედეგებს; სათანადო კომპეტენცია აქვს ასევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, მის ამაღლებაზე ზრუნავს თსსა ადმინისტრაცია; სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალა, ძირითადად, დაფუძნებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე, სტუდენტებს მიეწოდებათ უახლესი ლიტერატურა - ძირითადად, ელექტრონული ფორმით, ისინი თავადაც არიან ჩართული უახლესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნაში, თუმცა სილაბუსების ნაწილში ეს ნაკლებად არის ასახული და საჭიროა მათი განახლება; პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია თსსა ბიუჯეტის ფარგლებში. დამატებითი შემოსავლის წყაროა სხვადასხვა საგრანტო პროექტი.
- **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები:** თსსა-ში მოქმედებს და საჯაროდ მისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, დამყარებული ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“; ხარისხის სამსახური იყენებს შიდა და გარე

შეფასებებს, სისტემატურად ატარებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს, რაც მიმართულია სწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

- **რეკომენდაციები**

  - საგნის „კულტურის კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისობაში მოყვანა როგორც მის სათაურთან, ასევე პროგრამის მიზანთან.
  - სასწავლო გეგმაში ინტერდისციპლინური სემინარი გადატანა არჩევითიდან სავალდებულო გრაფაში.
  - გასაუმჯობესებელია კულტურის კვლევის მეთოდების სწავლება.
  - კვლევითი კომპონენტის შეფასების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანებასთან.
  - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონის გაზრდა; სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება და შევსება თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი მასალით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, პროგრამის აღწერაში მიეთითოს, რომ პროგრამა, თავისი შინაარსით, არის ინტერდისციპლინური: ეს ნათლად გამოხატავს პროგრამის მიზანს, შეესაბამება პროგრამის შინაარსს. გარდა ამისა, კულტურის კვლევები თავიდანვე (მე-20 საუკუნის შუა წლებში) ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების გადაკვეთაზე, როგორც ინტერდისციპლინური დარგი, ასეთივე სახით დამკვიდრდა იგი საქართველოშიც.
  - უმჯობესი იქნება, მითითებული იყოს დოქტორანტის სემინარზე დაშვების წინაპირობა.
  - სტუდენტის ინფორმირების მიზნით, ყველა სილაბუსში მითითებული უნდა იყოს საკონსულტაციო დრო და ადგილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კულტურის კვლევათა სადოქტორო პროგრამამ შეძლო თავისი ნიშის მონახვა კულტურის კვლევების სფეროში არსებულ მრავალფეროვან ინტერდისციპლინურ შესაძლებლობებს შორის, იმ სასწავლო და კვლევით მიმართულებებზე დაყრდნობით, რომელიც საკვანძოა თსაა-თვის (სახვითი ხელოვნება და ვიზუალური კომუნიკაციები), სრულად შეესაბამება თსსა მიზნებსა და შესაძლებლობებს, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას და გამოცდილებას.

შეძლო საკუთარი პროფილის მონახვა კულტურის კვლევების სფეროში არსებულ მრავალფეროვან შესაძლებლობებს შორის.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - წინა აკრედიტაციის შემდეგ, აკადემიური პერსონალის მიერ დაგროვილი გამოცდილებისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამაში შევიდა რამდენიმე ცვლილება:

- სასწავლო კურსი „ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები“ შეიცვალა კურსით „კულტურის კვლევის მეთოდები“, რაც ზუსტად შეესაბამება პროგრამის მიზანსა და შინაარსს. კურსის პედაგოგთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მოსალოდნელია მისი სწავლების შემდგომი გაუმჯობესება.
- შეიცვალა დოქტორანტის სემინარების რაოდენობა და მკაფიოდ განისაზღვრა მათი ადგილი სასწავლო გეგმაში.

- კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის მუშაობის მანძილზე დაცულია 4 დისერტაცია, რომელთაგან თითოეული ეხება სამეცნიერო თვალსაზრისით აქტუალურ და პრაქტიკულად გამოყენებად საკვლევ თემას; მათი შედეგების დიდი ნაწილი დანერგილია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სასწავლო პროგრამებში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, შეთავაზებულია ტელევიზიებისთვის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის.
- რაც მთავარია, კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამამ დაიმკვიდრა ადგილი თსსა სასწავლო პროცესში და შეძლო საკუთარი პროფილის მონახვა კულტურის კვლევების სფეროში არსებულ მრავალფეროვან შესაძლებლობებს შორის. პროგრამა მოთხოვნადია, რასაც ადასტურებს პროგრამაზე მიღების განაცხადების რაოდენობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შეესაბამება თსსა მისიას: ▪ აღზარდოს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე ორიენტირებული ახალგაზრდობა; ხელი შეუწყოს სტუდენტების ცნობიერებაში ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა დამკვიდრებას, რაც ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის და განვითარების აუცილებელი წინაპირობაა;შესთავაზოს მათ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლება; უზრუნველყოს სტუდენტთა მრავალმხრივი შემოქმედებითი და სამეცნიერო პოტენციალის რეალიზება და განვითარება ხელოვნებისა და მეცნიერების როგორც ტრადიციული, ასევე ახალი დარგების სფეროში, რასაც საფუძვლად უდევს ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი მდიდარი ტრადიციებისა და თანამედროვე მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი ორიგინალური საგანმანათლებლო პროგრამები. კულტურის კვლევების პროგრამა ორიგინალურ საგანმანათლებლო პროგრამათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ეფუძნება როგორც თსსა-ში არსებულ სწავლებისა და კვლევის ტრადიციას, ასევე კულტურის კვლევათა სფეროში ახალი ტენდენციების, მოთხოვნებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებას. იგი სტუდენტებს აცნობს კულტურაში მიმდინარე პროცესებს გლობალიზაციის ეპოქაში, თანამედროვე ინფორმაციულ კულტურას, ამ კონტექსტში ქართული კულტურის თავისებურებებს, მის იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ▪ გამოუმუშაოს მათ არჩეული სამეცნიერო დარგის კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე. კულტურის კვლევების პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს დარგისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ წარმატებით დასაქმებას. ▪ იზრუნოს უმაღლესი განათლების მდგრადი სისტემის განვითარებაზე, მაღალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის მომზადებასა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე, სახელოვნებო უმაღლესი განათლების სფეროში მსოფლიოში არსებული მოწინავე პრაქტიკის გაზიარების გზით. კულტურის კვლევების პროგრამის განმახორციელებელი პროფესურა ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა ჩაბმას, დარგში სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ზრუნავს კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებაზე, რასაც მისი კურსდამთავრებულების საქმიანობა ადასტურებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში(პროგრამის აღწერაში) მიზანი რეალურზე უფრო ვიწროდ და ნაკლები სიზუსტით არის წარმოდგენილი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს „თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის მაღალი ხარისხის სახელოვნებო უმაღლეს განათლებას“ (1.1). ეს, ზოგადად, თსსა მიზანია,განსახილველი პროგრამა კი, თავისი შინაარსით, ინტერდისციპლინურია და

სახელოვნებო განათლების ფარგლებს სცილდება. ეს კარგად ჩანს, თუნდაც, პროგრამის ორი კონცენტრაციის აღწერიდან (იქვე). პროგრამის საგანთა ჩამონათვალი, საგნების სილაბუსები, სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რომელთა მიღწევა სავსებით შესაძლებელია კულტურის კვლევების პროგრამის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თსსა-ს მისია ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის აღწერა ▪ სილაბუსები ▪ პროგრამის ფარგლებში დაცული დისერტაციები ▪ პროგრამის თვითშეფასება ▪ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, პროგრამის აღწერაში მიეთითოს, რომ პროგრამა, თავისი შინაარსით, არის ინტერდისციპლინური: ეს ნათლად გამოხატავს პროგრამის მიზანს, შეესაბამება პროგრამის შინაარსს. გარდა ამისა, კულტურის კვლევები თავიდანვე (მე-20 საუკუნის შუა წლებში) ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების გადაკვეთაზე, როგორც ინტერდისციპლინური დარგი. ასეთივე სახით დამკვიდრდა იგი საქართველოშიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (სასწავლო კურსები, სააუდიტორიო მუშაობის ფორმები, პედაგოგიური პრაქტიკა, კვლევითი მუშაობის დაგეგმვა, სემინარი, ხელმძღვანელთან მუდმივი კონტაქტი) უზრუნველყოფს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევას. კერძოდ, „უმაღლესი სკოლის

პედაგოგიკა“ სტუდენტს აცნობს სასწავლო პროცესსა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრონციპებს უმაღლეს სკოლაში, სწავლების ორგანიზაციის ფორმებს, სწავლების პრინციპებსა და მეთოდებს, სწავლისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს, დამოუკიდებელი მუშაობის ფორმებს, აღზრდის პროცესს უმაღლეს სკოლაში, შემეცნებითი უნარების აქტივიზაციის გზებს. იგი სტუდენტს აძლევს პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ცოდნას, უმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. „უმაღლესი განათლების მენეჯმენტი“ სტუდენტს აცნობს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზნებსა და ამოცანებს, ამ რეფორმების გატარების აუცილებლობას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. დოქტორანტები ეცნობიან რეფორმის საკანონმდებლო ბაზას, მათ მნიშვნელობას, აგრეთვე სასწავლო პროცესის მართვის ძირითად პრინციპებს, რაც იძლევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული დაუფლების შესაძლებლობას. „შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა“ სტუდენტებს აცნობს ჰერმენევტიკისა და ფენომენოლოგიის საფუძვლებს, რელიგიური ცოდნის თავისებურებებს; აძლევს მათ „გაგებისა“ და კომუნიკაციის“ ცნებათა გააზრების შესაძლებლობას ღირებულებით-რაციონალური და საკომუნიკაციო-რაციონალური დისკურსების კონტექსტში, დოქტორანტები ეცნობიან თვალსაჩინო თანამედროვე ფილოსოფოსების ტექსტებს, რაც აღრმავებს მათ ცოდნას შემოქმედების ფილოსოფიისა და ჰუმანიტარული შემეცნების საკვანძო საკითხებზე. „კულტურის კვლევის მეთოდები“ დოქტორანტებს აცნობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს, თუმცა აქ უფრო ხელოვნებათმცოდნეობაში გამოყენებულ მეთოდებზეა ყურადღება გამახვილებული და კურსი მოითხოვს შევსებას კულტურის კვლევათა სფეროში დღეს არსებული მეთოდების გათვალისწინებით.

ამ ერთი ხარვეზის გარდა, სასწავლო კურსები (შინაარსი, სწავლების მეთოდები, კრედიტების რაოდენობა) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სააუდიტორიო მუშაობის დროს აქტიურად გამოიყენება ინტერაქტიური მეთოდი (დისკუსია, პრეზენტაცია), ვიზუალური მასალის ანალიზი. დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას, კვლევითი და პედაგოგიური უნარების გამომუშავებას, შემენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

სასწავლო კომპონენტის პარალელურად, სტუდენტი იწყებს კვლევითი კომპონენტის განხორციელებას წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, რომელსაც იგი განსაზღვრავს ხელმძღვანელთან ერთად. ის ფაქტი, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, ხელს უწყობს მათ აქტიურ და სისტემატურ თანამშრომლობას კვლევის პროცესში. კვლევა ხორციელდება ეტაპობრივად, მოიცავს როგორც თეორიული, ასევე საველე კვლევის ნაწილებს. მუშაობის შედეგებს დოქტორანტი სისტემატურად განიხილავს ხელმძღვანელთან ერთად, გარდა ამისა, წარმოადგენს ორ კოლოკვიუმზე, სამეცნიერო ფორუმებზე. სამხატვრო აკადემია უზრუნველყოფს დოქტორანტს ინფორმაციით ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, ვორკშოფების, მრგვალი მაგიდების შესახებ, თავადაც აწყობს დოქტორანტების კონფერენციებს, როგორც ადგილობრივს, აკადემიის ფარგლებში, ასევე საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით. დოქტორანტი ამზადებს გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს.

სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლისა და სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის შემდეგ, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი და, ნაშრომის სრულად გამოქვეყნების შემდეგ, ეძლევა სათანადო დიპლომი, ECTS ნიმუშის დიპლომის დანართითურთ.

უნდა აღინიშნოს ერთი უზუსტობა: პროგრამის აღწერაში ინტერდისციპლინური სემინარი სავსებით სწორად არის დასახელებული სავალდებულო კომპონენტად, მაგრამ სასწავლო გეგმაში, რომელიც კრედიტების განაწილებას ასახავს, იგი არჩევითი კომპონენტის გრაფაშია მოხვედრილი. პროგრამის პერსონალთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ეს უზუსტობა ტექნიკური ხასიათისაა და ადვილად გასწორდება.

გარკვეული ხარვეზი შეინიშნება კულტურის კვლევის მეთოდების სწავლების თვალსაზრისით. ალბათ, ტექნიკური ხარვეზით არის გამოწვეული ის, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმაში დასახელებულია სავალდებულო საგანი„ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები“, ხოლო სილაბუსი წარმოდგენილია საგანში „კულტურის კვლევის მეთოდები“. როგორც თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს გაირკვა, ამ ხარვეზმა ასახა პროგრამაში განხორციელებული ცვლილება: ადრე ისწავლებოდა „ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები“, რომელიც, გამოცდილების დაგროვების კვალობაზე, შეიცვალა საგნით „კულტურის კვლევის მეთოდები“. მაგრამ სილაბუსის/საგნის სათაური, გარკვეულწილად, შორდება მის შინაარსს: აქ უფრო კულტურის კვლევის თეორიებია განხილული და არა კვლევის მეთოდები. ცხადია, გასათვალისწინებელია საგნის პედაგოგის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ თეორიის ცოდნა სტუდენტს კვლევის მეთოდების ათვისების საფუძველს უქმნის, მაგრამ თავად მეთოდები ყურადღების მიღმა რჩება, რაც არ არის სწორი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამაზე მიიღებიან სხვადასხვა სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები და, სავარაუდოდ, მათ უმრავლესობას კულტურის კვლევის მეთოდები წინა საფეხურებზე არ უსწავლია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა და კრედიტების განაწილება;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. საგნის „კულტურის კვლევის მეთოდები“ სილაბუსის შესაბამისობაში მოყვანა როგორც მის სათაურთან, ასევე პროგრამის მიზანთან - გააცნოს სტუდენტს კულტურის კვლევის მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებით ის შეძლებს თანამედროვე ინფორმაციული კულტურის პარადიგმათა, ქართული კულტურის თავისებურებათა და კულტურული იდენტობის პრობლემათა კვლევას. კვლევის თანამედროვე მეთოდების ცოდნა ასევე აუცილებელი პირობაა წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისათვის.
2. სასწავლო გეგმაში ინტერდისციპლინური სემინარი გადასატანია არჩევითიდან სავალდებულო გრაფაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტთა სადისერტაციო ნაშრომები ორიენტირებულია პრაქტიკაზე - დაკავშირებულია მათი წარსული, ამჟამინდელი ან სამომავლო საქმიანობის სფეროსთან. ეს განაპირობებს, ერთი

მხრივ, ამ ნაშრომების სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებას, მეორე მხრივ კი კურსდამთავრებულთა დასაქმებას პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა მოიცავს ორ კონცენტრაციას: 1) თანამედროვე ინფორმაციული კულტურა და 2) ქართული კულტურის იდენტობები. მათი შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზანს, ხოლო სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები და სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მოთხოვნათა გათვალისწინებით. იგი მოიცავს 180 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. მათ შორის: ▪ **სასწავლო კომპონენტი** (სავალდებულო სასწავლო კურსები, სემინარული მუშაობა, პედაგოგიური პრაქტიკა) - 60 კრედიტი: 1. სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 20 კრედიტი; 2. 2 სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო) – 20 (10+10) კრედიტი; 3. ინტერდისციპლინური სემინარი (სავალდებულო) – 10 კრედიტი; 4. პედაგოგიური პრაქტიკა – 10 კრედიტი. ▪ **კვლევითი კომპონენტი**– 120 კრედიტი: 1. 2 კოლოკვიუმი – 20 (10+10) კრედიტი; 2. სადოქტორო ნაშრომის შესრულება და მისი საჯარო დაცვა – 100 კრედიტი. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები გაწერილია სემესტრების მიხედვით (30 კრედიტი სემესტრში). კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა სტუდენტებს აძლევს სათანადო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რაც მიიღწევა სასწავლო პროცესის მიზანმიმართული დაგეგმვით, დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის კვალიფიციური შედგენით. თეორიულ ცოდნას სტუდენტები ეუფლებიან სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით. ცოდნის შემოწმება ხდება სემინარებისა და გამოცდების მეშვეობით. ეს ცოდნა აისახება აგრეთვე კვლევითი კომპონენტის შესრულებით და პედაგოგიური პრაქტიკით. ამდენად, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებს. გაუმჯობესებას საჭიროებს კვლევის მეთოდების სწავლება, რასაც, ჩვენი აზრით, სათანადო ადგილი არ ეთმობა შესაბამისი სახელწოდების სასწავლო კურსში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ▪ პროგრამის თვითშეფასება ▪ საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები ▪ სემინარების თემატიკა
რეკომენდაციები: გასაუმჯობესებელია კულტურის კვლევის მეთოდების სწავლება. უკანასკნელ წლებში გამოიცა რამდენიმე საყურადღებო და საინტერესო სახელმძღვანელო სხვადასხვა ევროპულ ენებზე. ისინი ადვილად მისაწვდომია და დოქტორანტებს არ გაუჭირდებათ მათი გამოყენება. ამის შემდეგ პროგრამა სრულად დააკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ კულტურის კვლევებისსადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან დასაქმების ბაზარზე, კერძოდ, ისინი წარმატებით საქმიანობენუმაღლეს სასწავლებლებში, ბიზნესში, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, რომლებიც კულტურის პრობლემებით არიან დაკავებული. დღეისათვის პროგრამის ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრარულ უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ტელევიზიაში. რამდენიმე დოქტორანტი თსსა-ს პედაგოგია. პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ გვაჩვენა, რომ კონკრეტული დოქტორანტის საკვლევი თემა შეირჩევა და მისი მუშაობის ინდივიდუალური გეგმა დგება როგორც მისი ინტერესისა და გამოცდილების, ასევე ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. საკვალიფიკაციო ნაშრომები ემყარება თვისობრივი და ექსპერტული კვლევის შედეგებს, რომელთა ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესოა კონკრეტული დამსაქმებლისთვის. მაგალითად, ეროვნულმა მუზეუმმა საკომუნიკაციო სისტემისა და

სტრატეგიის, აგრეთვე ნიშანთა სისტემის აგებისას გამოიყენა ერთ-ერთი დაცული სადოქტორო ნაშრომის მონაცემები და დასკვნები; მეორე დისერტანტმა გამოიკვლია ქვეყანაში მოქმედი სატელევიზიო არხების ნიშანთა სისტემის სემიოტიკური ველი და შეიმუშავა კონკრეტული მოდელები, რომლებიც შეიძლება საყურადღებო იყოს ქართული სატელევიზიო სივრცისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ დოქტორანტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ დაცული სადისერტაციო ნაშრომები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი და ადმინისტრაციული პერსონალი ცდილობს გაითვალისწინოს პოტენციურ დამსაქმებელთა ინტერესები, დაკავშირებული თანამედროვე ქართულ და მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებთან. სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სტუდენტების ტრადიციული გამოკითხვის გარდა (კითხვარების მეშვეობით), მათგან უკუკავშირის მისაღებად უკვე რამდენიმე სემესტრია მუშაობს ე.წ. „მრგვალი მაგიდა“, სადაც სტუდენტები გამოთქვამენ საკუთარ აზრს პროგრამასთან დაკავშირებით. იგი იმართება სასწავლო სემესტრის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ზოგიერთი რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სრულყოფისათვის, მაგალითად, სემინარების რაოდენობა შემცირდა 5-დან 3-მდე, აქედან 2 სპეციალობის სემინარია, 1 კი ინტერდისციპლინური.პროგრამის ხელმძღვანელებს ასევე კავშირი აქვთ დამსაქმებლებთან (მაგალითად, ეროვნულ მუზეუმთან - გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმიც, ტელევიზიებთან) და სამომავლოდ გეგმავენ ერთობლივი კვლევითი პროექტების/კონფერენციების განხორციელებას. ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესწავლის მიზანს ემსახურება მოქმედ

და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა ამ მიზნით შემუშავებული კითხვარის მეშვეობით (ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში). აკადემიური პერსონალი, თავის მხრივ, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაზე, მაგალითად, შეიცვალა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი (ხელოვნების ისტორიის კვლევის მეთოდები - კულტურის კვლევის მეთოდები). ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუ შინაარსობრივ თანხვედრაში იყო ერთმანეთთან. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებისმონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ თსსა ადმინისტრაციასთან და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; ▪ ძველი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შედარება ასახავს ამ ცვლილებებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) წინა აკრედიტაციის შემდეგ, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოცდილებისა და სურვილის გათვალისწინებით, პროგრამაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა: სემინარების რაოდენობა შემცირდა 5-დან 3-მდე, აქედან 2 სპეციალობის სემინარია, 1 კი ინტერდისციპლინური; მკაფიოდ გაიწერა მათი ადგილი სასწავლო გეგმაში (სპეციალობის სავალდებულო სემინარი - II და III სემესტრი, ინტერდისციპლინური სემინარი - IV სემესტრი), ეს ხელს უწყობს სტუდენტთა ცოდნის გაღრმავება-გაფართოებას და დისციპლინათა შორის ბარიერების გადალახვას; გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი ერთ-ერთ დამსაქმებელთან; შეიცვალა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი.
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების პირობები შემდეგია: 1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; 2. ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა (B2 დონე) - კანდიდატი აბარებს გამოცდას უცხო ენაში, ან წარმოადგენს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ სერტიფიკატს უცხო ენის ცოდნის დასადასტურებლად. თსსას მიერ აღიარებულ უცხო ენის დიპლომების ჩამონათვალი მოცემულია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, პუნქტი 5.2. 3. ხელმძღვანელის თანხმობა; 4. კვლევითი პროექტის პრეზენტაცია, რომელიც ასახავს დოქტორანტობის კანდიდატის კვლევით ინტერესებს, უნარებს და შესაძლებლობებს.. აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრის დროს დაისვა კითხვა ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრის ხარისხის მქონეთა მიღების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. პასუხებმა ცხადყო, რომ ამგვარი გადაწყვეტილება გააზრებული და დასაბუთებულია: ა) პროგრამა, თავისი შინაარსითა და საკვლევი თემატიკით, ინტერდისციპლინურია; ბ) კანდიდატს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სამეცნიერო ინტერესების სფერო, სავარაუდო საკვლევი თემა (სათაური შეიძლება დაზუსტდეს მუშაობის პროცესში), რომელიც შეთანხმებულია ხელმძღვანელთან; გ) კანდიდატმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე უნდა წარმოადგინოს ვრცელი პრეზენტაცია, რომელშიც ასახული იქნება არჩეული თემის აქტუალურობა, რელევანტურობა, ძირითადი საკვლევი კითხვები და მათი გადაჭრის გზები, კვლევის მეთოდები (პრეზენტაციის ფორმატი დეტალურად არის აღწერილი თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, პუნქტი 5.4). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, სხვადასხვა აკადემიური სფეროდან მოსული დოქტორანტების მიერ პროგრამის წარმატებით დაძლევას და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა; ▪ თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება; ▪ თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გამოიყენებასწავლების სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სემინარი, პრაქტიკულისამუშაო, დისკუსია, გონებრივიიერიში, კონკრეტული შემთხვევისანალიზი (case study), პრობლემაზედაფუძნებულისწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. სწავლების ამა თუ იმ მეთოდის ან მათი კომბინაციის შერჩევა ხდება კონკრეტული თემის სპეციფიკის და სასწავლო ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით. ეს მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ისინი შეესაბამება პროგრამის კომპონენტებს და კონკრეტულ სასწავლო კურსებს. თეორიულ ცოდნასა და კვლევისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს სტუდენტები სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის გზით ეუფლებიან. შედეგი მოწმდება შეფასების მეთოდებით (სასემინარო და პრაქტიკული მუშაობის შეფასება, პრეზენტაციის შეფასება, კოლოკვიუმები, გამოცდა ზეპირი და წერითი კომპონენტებით), რომლებიც ადაპტირებულია სადოქტორო პროგრამის მიზანთან - მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ფართო ჰუმანიტარული აზროვნებით, ანალიტიკური უნარით და პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა; ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები, რომლებშიც აღწერილია სწავლების მეთოდები;

▪ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომკომ პონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სტრუქტურულად გამართულია, მასში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია. დოქტორანტი ჯერ აგროვებს სასწავლო კრედიტების ძირითად ნაწილს, შემდეგ ამზადებს და წარმოადგენს სასემინარო ნაშრომებს, მუშაობს კვლევითი კომპონენტის განხორციელებაზე, კოლოკვიუმებზე წარმოადგენს კვლევის შედეგებს და, ბოლოს, სადისერტაციო ნაშრომს. გარკვეული პრობლემები შეიძლება შექმნას იმან, რომ პროგრამის არც ერთ კომპონენტს არ აქვს განსაზღვრული დაშვების წინაპირობა. მაგალითად, სასწავლო გეგმით, სტუდენტი სემინარზე დაიშვება მესამე სემესტრიდან, თუმცა სემინარზე დაების წინაპირობად არ არის მითითებული პირველი და მეორე სემესტრების სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ დოქტორანტების ინდივიდუალური გეგმები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ უმჯობესი იქნება, მითითებული იყოს სემინარზე დაშვების წინაპირობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამის სტუდენტის ცოდნა ფასდება ზეპირი გამოკითხვის, წერითი გამოცდის, სემინარის,პრაქტიკული სამუშაოს, რეფერატის, ესეს, პრეზენტაციისმეშვეობით. სასწავლო დისციპლინების შეფასება 100 ქულიანი და მრავალკომპონენტია. შეფასების კონკრეტული ფორმები და კრიტერიუმები გაწერილია თითოეული საგნის სილაბუსში. ასევე გაწერილია სემინარისა (დანართი 12) და კოლოკვიუმის (დანართი 13) შეფასების კრიტერიუმები; შეფასება ამ შემთხვევაშიც 100 ქულიანი და მრავალკომპონენტია და თითოეული კომპონენტი დაწვრილებით არის ახსნილი. შეფასების მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს და უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას ამავე დროს, საჭირო იქნება კვლევითი კომპონენტის შეფასების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანებასთან. კერძოდ, თუ სადოქტორო პროგრამაში „სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დისერტაციის ... სახით“ (მუხლი 1[1]), ხოლო „დისერტაცია ... უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, როცა სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას“ და იგი „უნდა შეფასდეს ერთჯერადად“ (მუხლი 4), მაშინ, როგორც ჩანს, კოლოკვიუმი აღარ უნდა განიხილებოდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა; ▪ შეფასების შედეგები სასწავლო კომპონენტების მიხედვით; ▪ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: კვლევითი კომპონენტის შეფასების შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანებასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო დისციპლინების შეფასების ქულათა სისტემა 100 ქულიანი და მრავალკომპონენტია. იგი ითვალისწინებს დასწრების, 2 შუალედური გამოცდის (ტესტი/წერითი/ზეპირი დავალება/პრეზენტაცია) და გამოცდის ქულებს. სილაბუსებში გაწერილია ქულობრივი შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვა ტიპის გამოცდისათვის, მითითებულია გამოცდაზე დასაშვები და გამოცდის ჩაბარებისათვის საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე 100 ქულიანი და მრავალკომპონენტიანია სემინარისა და კოლოკვიუმის შეფასება, კრიტერიუმები აქაც მკაფიოდ არის გაწერილი და მისაწვდომია სტუდენტისათვის (დანართები 12 და 13). ამრიგად, სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, სტუდენტი ინფორმირებულია როგორც კრიტერიუმების, ასევე მის მიერ მიღწეული შედეგების, ხარვეზებისა და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად განსაზღვრას საკვლევ საკითხს, გეგმავს სასწავლო კომპონენტის განხორციელების გზას სპეციალური ფორმის შესაბამისად, სემესტრულად ადგენს მუშაობის ინდივიდუალურ გეგმას, ადგენს საკონსულტაციო საათებს. თსსა დოქტორანტებს აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო კონფერენციების, ვორკშოფების, მრგვალი მაგიდების შესახებ; სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო გრანტების თუ კვლევითი პროექტების შესახებ. თავად აკადემიის ორგანიზებით ასევე ტარდება დოქტორანტების კონფერენციები - როგორც თსსა-ს, ასევე საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბის; სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები არტეფაქტებისა და კულტურის ძეგლების შესასწავლად.ხელმძღვანელი, პროგრამის პერსონალი და ადმინისტრაცია ხელს უწყობს დოქტორანტთა ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, პირადი კონტაქტების დამყარებასა და გაღრმავებაში, რაც მას კვლევის პროცესში ჭირდება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი იღებ(დნ)ენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას, როგორც პირადი შეხვედრების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციის გზით. სტუდენტებს აქვთ მუდმივი კავშირი როგორც სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, ასევე სასწავლო კურსების ლექტორებთან და პროგრამის კოორდინატორთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც გულისხმობს ხელმძღვანელთან დოქტორანტის ინდივიდუალურ კონსულტაციებს როგორც კვლევითი პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე, ასევე სასწავლო კურსებსა და სემინარებთან დაკავშირებით. სილაბუსში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საფუძველზე დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს შეათანხმოს და დადაგეგმოს ინდივიდუალურიკონსულტაციები. ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატი დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებით და ინტერვიუს შედეგებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს კვლევას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა შორის გამოკითხვას კონსულტაციების ხარისხის შეფასების მიზნით. მართალია, ელექტრონული ფორმით წარმოდგენილ რამდენიმე სილაბუსში არ იყო მითითებული კონსულტაციების დრო და ადგილი, მაგრამ ინტერვიუმ დაგვიდასტურა, რომ აღნიშნული მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადე; ▪ სტუდენტთა კითხვარები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სტუდენტის ინფორმირების მიზნით, ყველა სილაბუსში მითითებული იქნას საკონსულტაციო დრო და ადგილი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თსსა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევით პროექტებში, ასევე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. მაგალითად, აკადემიის ორგანიზებით სისტემატურად იმართება გამოფენები, სამეცნიერო კონფერენციები (ადგილობრივი, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბის), ვორკშოპები, მრგვალი მაგიდები; გასვლითი ღონისძიებები კულტურის ძეგლთა გაცნობისთვის. ქვეყნდება ინფორმაცია ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო გრანტების შესახებ, აკადემიაეხმარება სტუდენტებს საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებასა და პროექტების შედგენაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ▪ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ კონფერენციების პროგრამები და მასალები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა ორიენტირებულია სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის ინტერნაციონალიზაციაზე. სტუდენტების განცხადებით, თსსა-ში არის გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+) შესაძლებლობები, თუმცა ინტერვიუს მონაწილე სტუდენტებიდან და კურსდამთავრებულებიდან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში და/ან თსსა-ს მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო სემინარში/კონფერენციაში, რაც განპირობებულია ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობით. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში სტუდენტთა მონაწილეობა ხერხდება ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების ფინანსური მხარდაჭერით; მაგალითად, კარნეგის ფონდის დაფინანსებით ერთ-ერთი სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი შესრულდა აშშ-ში, რამდენიმე მუზეუმის (მათ შორის - მეტროპოლიტენ მუზეუმის) ექსპერტებთან კონსულტაციით, ასევე გერმანიის სახელმწიფო და კერძო მუზეუმებში - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერით. ამასთან, სილაბუსების ნაწილში თანამედროვე დასავლური ლიტერატურა ნაკლებად არის ასახული. როგორც ინტერვიუებმა დაადასტურა, პედაგოგები სტუდენტებს აწვდიან აღნიშნული ლიტერატურის ნაწილს, ძირითადად ელექტრონული ფორმით. გარდა ამისა, თსსა-ს აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებზე, მაგრამ სასურველია, ეს აისახოს სასწავლო კურსების სილაბუსშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ კონფერენციების პროგრამები და მასალები; ▪ აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ▪ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონე; სილაბუსებში მიეთითოს თანამედროვე დასავლური ლიტერატურა, რომელსაც სტუდენტები იღებენ პედაგოგებისგან და პერიოდულად მოხდეს მისი განახლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑		

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ინფრასტრუქტურადა ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები, პროექტორები), სააუდიტორო სივრცეები, კომპიუტერული კაბინეტი, სტუდენტებისთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე, ბიბლიოთეკა, ინტერნეტზე წვდომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს ტექნიკური აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის განახლებაზე. ამჟამად შენობა და ბიბლიოთეკა რეკონსტრუქციის პროცესშია, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სასწავლო და კვლევითი პროცესისთვის. რეკონსტრუქციის დასრულება იგეგმება 2018 წლის ბოლოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება, საბიბლიოთეკო რესურსების გაცნობა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში

შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია 1 პროფესორის, 2 ასოცირებული პროფესორის, 1 მოწვეული პროფესორისა და 1 მოწვეული პედაგოგის სახით. ყველა მათგანს აქვს შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი და პედაგოგიური გამოცდილება. ისინი ეწევიან აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, მონაწილეობენ სამეცნიერო ფორუმებში, კვლევითი პროექტების განხორციელებაში. მათი კვლევის შედეგები ასახულია ადგილობრივ და საერთაშორისო პუბლიკაციებში. ამდენად, აქვთ პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგებისმიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ამჟამად პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიები (CV); ▪ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):ნ
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (ფაკულტეტისა და თსსა ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის კოორდინატორი, აკადემიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბიბლიოთეკო ფონდის პასუხისმგებელი პირი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის სპეციალისტი). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს ტრენინგებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საშტატო განრიგი; ადმინისტრაციის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ტრენინგების ამსახველი მასალები;
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო მასალა, ძირითადად, დაფუძნებულია დარგის თანამედროვე მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ განახლებული, თანამედროვე და აქტუალური ლიტერატურა ელექტრონული ფორმით: მასალები იტვირთება საგანგებოდ ამ მიზნით შექმნილ ვებგვერდზე, აგრეთვე დოქტორანტთა ჯგუფში. ამ თვალსაზრისით, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერვიუების შედეგები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები თავად არიან ჩართული უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის თარგმნაში. თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა საჭიროებს განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ელექტრონული ბიბლიოთეკის მასალები.

რეკომენდაციები:

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის განახლება და შევსება თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი მასალით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ▪ სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო მასალის მომზადებაში - უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის გზით
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი კულტურის კვლევების პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია თსსა და ფაკულტეტის ბიუჯეტის ფარგლებში. მისი მდგრადობის საფუძველია სტუდენტთა სწავლის გადასახადი, დამატებითი შემოსავლის წყაროს კი წარმოადგენს სხვადასხვა საგრანტო პროექტები. სტუდენტები იხდიან სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისთვის დადგენილი ტარიფის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტები ▪ ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑		

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე"ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თსსა-ში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად გამოყენებულია შიდა და გარე შეფასება. კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამას და სასწავლო კურსების სილაბუსებს აფასებს ხარისხის განვითარების სამსახური. იგივე სამსახური უზრუნველყოფს თვითშეფასებისა და აკრედიტაციის პროცესის ჩატარებას, ახორციელებს აკადემიური პერსონალის ტრენინგებს. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვას. ამავე მიზანს ემსახურება მრგვალი მაგიდები სტუდენტთა მონაწილეობით. შიდა შეფასების შედეგების გათვალისწინებით, შეიცვალა კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი, აგრეთვე დოქტორანტის სემინარების რაოდენობა და მკაფიოდ განისაზღვრა მათი ადგილი სასწავლო გეგმაში. გარე შეფასება ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ▪ პროგრამებისა და სილაბუსების შეფასების ფორმები ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარების, აგრეთვე მრგვალი მაგიდის ფორმატში მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, ხდება კორექტივების შეტანა კულტურის კვლევების სადოქტორო პროგრამაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	☑		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კულტურის კვლევები (პროგრამული კონცენტრაციები: ქართული კულტურის იდენტობები, თანამედროვე ინფორმაციული კულტურა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑		
საბოლოო შეფასება	☑		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნ. ჩიქოვანი 

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **32**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია ნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑		
საბოლოო შეფასება	☑		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

/ანა სამსონაძე/,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

/თ. გაბრიჩიძე/,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი